# სახალხო გაზეთი

№ 899 სამშაბათი, 21 მაისი 1913 წ. № 899

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.**

**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება საირნობა**

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

**საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება.** 1201

შუამცკის თეატრში **ბ ა თ უ მ ი.** შუამცკის თეატრში

**კვირას, 22 მაისს,**

I) **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას

,,ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ტრაგედია".

II) **ი. გრიშაშვილი** წაიკითხავს თავის ლექსებს, ხოლო **გრ. რობაქიძე**—ლეგენდებს. დაწვრილებით პროგრამებში, ადგილების ფასი ჩვეულებრივა. **დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** ადმინისტრ. **ვიქ. ქავთარაძე.** 1215

**ა ხ ა ლ ი  კ ლ უ ბ ი**

დღეს, 21 მაისს, 1913 წელს გაიმართება სიმფონიური

**კ ო ნ ც ე რ ტ ი**

**ვ. გ. ზელიონის ლოტბარობით.**

მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები, სკრიპკის ცნობილი დამკვრელი ბ. ი. კრეინინი და არფის დამკვრელი ბ. პალამარსკი.

1162 დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

**ა ხ ა ლ ი  კ ლ უ ბ ი**

**საზაფხულო თეატრი**

შაბათს, 25 მაისს, 1913 წ. გაიმართება პირველი სიმფონიური

**კ ო ნ ც ე რ ტ ი**

**ვ. ი. ზელიონის** ლოტბარობით და პიანისტის **ლ ე ო ნ  პ ი შ ნ ო ვ ი ს** მონაწილეობით:

პროგრამა: კალინნიკოვი—სიმფონი g. moll, ჩაიკოვსკი—კონცერტი B moll ფორტეპიანოსთვის ორკესტრით, ლისტი—Les Préludes და სხვა.

1162 დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

**ტფილისის სავაჭრო ბ ა ნ კ ი**

აცხადებს, რომ ზაფხულის 3 თვის განმავლობაში, ბანკის დარკინულ სალაროში

**მიიღება შესანახად განძეულობის დასაფარი ყუთები.**

**სულ პატარა № 1—3 მ., პატარა № 2—3 მ. 50 კ., საშუალო № 3—5 მ.** 1212

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 —. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10 1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე —. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედ ბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. —$1\frac{1}{2}$<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 0 —.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1\frac{1}{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606"** და **,,914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაბიანცი** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. **წამლობა ჭლექისა**, წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).

**ტელეფ. № 7—93.** 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**კვირას, დილით, 26 მაისს,** 1913 წ. ახლად დაარსებული

**„ტფ. პირველ ქართველ მუშათა მომღერალ მგალობელთა გუნდი"**

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით ჰმართავს 3 განყოფილებად

**სახალხო კონცერტს**

**(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად)**

**მუშათა გუნდი** 40 კაცისაგან შემდგარი, ჩერქეზულად გამოწყობილი, შეასრულებს ეროვნულ იმერულ, აგრეთვე შეასრულებს ,,**რაჭულ**'' სიმღერებსაც. ბოლოს ,,**ჭონა** და ,,**ფერხული**''. კონცერტის წინად **მიხეილ კავსაძე** წაიკითხავს თავის **მოხსენებას:**

**„ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა) და მისი განვითარება".**

**დასაწყ. 12-ნახ. ს.** ადგილების ფასი 5 50 კ. დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.

295 გამგენი **ირაკლი ჟორდანია, ნიკ. ჯავრიშვილი.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

**სამშაბათს, 21 მაისს, ელ ჩერქეზიშვილის** და **ალ. წუწუნავას** მონაწილეობით სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრის სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგ. იქნება:

ა. სუმბათაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა **ღ ა ლ ა ტ ი.**

მონაწილეობენ მსახიობები: ე. მესხი, პიერეტტა, კ. ყიფიანი, გ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი და სხვ. აგრეთვე ყველა სცენის-მოყვარენი. სულ მონაწილეობას იღებს 100 კაცზე მეტი. ეს პიესა იდგმება ,,ქრისტინეს'' მაგიერ, ვინაიდან **იაპონელმა მსახიობმა ქალმა განაკო ოოტამ** გამოსთქვა სურვილი რაიმე ისტორიული ძლიერ დრამატიულ პიესის ნახვისა. **დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს.** ადგილ. ფასი 15—80 კ.

1211 გამგე **ალ ბადრიძე.**

**ბრძოლის ღიმილი**

**ლექსები ურითმოდ**

**ი. გრიშაშვილისა**

**ო რ ი  შ ა უ რ ი.**

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 286

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

**შპალიერის** (ОБОИ) ქარხანა

**ძმ. ტარნოპოლევისა.**

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11\frac{1}{4}$ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ტურინის გამოფენაზე 1910 წ.

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად** ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ვკისრულობთ:**

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი,** მუხრანის ქუჩა, **,,შრომის''** სტამბის გვერდით, სახლი **№ 12.** ნაშუადღევის 2 საათიდან **7** საათამდე. **ხოლო** დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9\frac{1}{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$1\frac{1}{2}$ ს

**ბ. ა. პოპო ი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ სნეულ 11—$1\frac{1}{2}$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11\frac{1}{2}$ ს

**გორონიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.** ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606"-ით** 1053

**ექიმი** ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

18 მაისს, შაბათს ნაშუადღევს ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, კურცხალიას შეშის საწყობთან **დავკარგე** ფრიად საპირო ქაღალდები: ერთი **ნოტარიალური ხელშეკრულება** და ერთი **უბის წიგნი** სხვა და სხვა საჭირო საბუთებით. უმორჩილესად ვთხოვ მპოვნელებს მომაწოდონ ეს ქაღალდები 19 თებერვლის ქუჩაზე „პარიზის" სასტუმროში, რისთვისაც გასამრჯელოს მიიღებენ.

293 **იაგორ ლორთქიფანიძე.**


## ქართული პრესა

ბაქოს აშმორებულ წუმპეში, „ჩვენი წყარო" რომ ჰქვიან, გეროსტრატი ფ. მ. განაგრძობს ბნელსა და მავნე საქმეს: თავის დამპალ აზრებისა და შეხედულების გავრცელებას და ამით ხალხის სულისა და გულის მოშხამვას. 12 მაისის ნომერში იგი სწერს ივ. სპ. ჯაბადარის ნეკროლოგს და ნიანგის ცრემლებით დასტირის მას მთელი ეს ფარისევლობა იმიტომ დასჭირდა ამ ვაჟ-ბატონს, რომ კიდევ ერთხელ სწვდეს ილია ჭავჭავაძეს და გული იჯეროს გ. ზდანოვიჩის გალანძღვით... როცა ჯაბადარი დაბრუნდა საქართველოში, სწერს წყაროს „პუბლიცისტი", სწორედ მაშინ მისი ამხანაგი ზდანოვიჩიც დაბრუნდა. მაგრამ მათში დიდი განსხვავება მალე აღმოჩნდა და ეს განსხვავება მერე უფრო გაძლიერდა. „ბ. ზდანოვიჩი კარგად შეეგუა „ივერიის" პოზიციას, უარჰყო ძველი იდეალები და ახალ დროის კერპის—ოქროს წინაშე მოიხარა ქედი და უწყო მას გუნდრუკის კმევა; ამავ დროს ივ. ჯაბადარი შეუდრეკელი დარჩა: იგი ვერ მოურიგდა „ივერიის" პოზიციას და ჩქარა მის და ჯაბადრის შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა. ვის არ ახსოვს ივ. ჯაბადრის წერილები საქართველოზე „სევ. ვესტნიკში" ერთი მხრით და „აი ისტორიის" ავტორის არა საკადრისი, ვიტყვით, პირდაპირ დემაგოგიური პოლემიკური კილო და ფანდები ხსენებული წერილების ავტორის წინააღმდეგ მიმართული, მეორე მხრით"...

„აი ისტორიის" ავტორი დემაგოგიურ ფანდების პატრონია, ხოლო გ. ზდანოვიჩი იდეალების მოღალატე და ოქროს კერპის წინაშე ქედმოხრილი; ერთის მხრით იდეალისტი ივ. ჯაბადარი და მეორეს მხრით მოღალატე საზოგადოებრივობისა გ. ზდანოვიჩი! სწორედ მართალი ბრძანა ფ. გოგიჩაიშვილმა,—„ზედა სართულში" ვერ უნდა ჰქონდეს კარგად საქმეები ამ კომიკურ და ღვარძლიან შედარების ავტორს...

* *
*

„ბათუმის გაზეთის" უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია ჰიდარ-ბეგ აბაშიძის შემდეგი საყურადღებო წერილი:

„ქართველი ერის იმ ნაწილს, რომელნიც მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, გვეძახიან „თათრებს" და ამ სახელს კი ჩვენ ქართველნი მაჰმადიანნიც თანავუგრძნობთ. მაგრამ თუ რა დიდი გამოურკვეველი შეცდომაა აქ, ის კი არ ვიცით და ყურადღებასაც არ ვაქცევთ არც ქართველნი მაჰმადიანნი და არც ჩვენი მოძმენი ქართველი ქრისტიანები. არ ვიცი, რისთვის გვეძახიან ჩვენ—ქართველ მაჰმადიანებს—თათრებს და ამ სახელს რათ თანავუგრძნობთ ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები? თუ იმისათვის, რომ ჩვენ მაჰმადის სჯულს ვემსახურებით, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სარწმუნოებას არ შეუძლიან ნაციის გამოცვლა.

ქართველ მაჰმადიანებს რომ ვინმე დაეკითხოს, თუ ვინ არის ის, ის უპასუხებს—„თათარიო" და ძლიერ იშვიათია ისეთი პირი, რომელმაც უპასუხოს — „ქართველი მაჰმადიანიო". ის პირი, რომელიც ამბობს „თათარი ვარო"—შემცდარია, მაგრამ შემცდარია ის პირიც, ვინც ერთად ამბობს „ქართველი მაჰმადიანი", რადგან არ არის მიღებული რომ, როდესაც ეროვნებაზე გვეკითხებიან სჯულიც დაუსახელო. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი მოძმე ქართველი ქრისტიანი. იმას, რომ ვკითხოთ „ვინახარო", ის ხომ არ გვიპასუხებს, —ქართველი ქრისტიანიო, არამედ მოკლეთ გვეტყვის—„ქართველიო" და თუ სარწმუნოებაზე ვკითხეთ, მაშინ კი გვეტყვის „ქრისტიანიო". საჭიროა, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებმაც, თუ ვინმე დაგვეკითხება „ვინა ხარო", ვუპასუხოთ „ქართველიო" და თუ სარწმუნოებაზე გვკითხეს—„მაჰმადიანიო". ჩემის აზრით, ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, შეცდომით გვეძახიან „თათრებს", მხოლოდ ეს შეცდომა ჩვეულებად გადაიქცა და ეს ჩვეულება ჩვენ, ქართველი მაჰმადიანებისათვის, სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს ჩვეულება გვიკარგავს ჩვენს ეროვნულს სახეს, ჩვენს ქართველობას. ეხლა კი, როდესაც ვიტყვით სიტყვა „ქართველს", მაშინვე თვალწინ გვიდგება ქართველი ქრისტიანი და არა ქართველი მაჰმადიანი. ამისთვის საჭიროა ქართველი მაჰმადიანებმა ამ სამწუხარო ჩვეულებას გადავეჩვიოთ, რომ სრულიად არ დაგვეკარგოს ჩვენი ვინაობა, ჩვენი ნამდვილი ეროვნული სახე. ამ სამწუხარო ჩვეულების გადაჩვევას კი დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორც ჩვენ, ქართველმა მაჰმადიანებმა, ისე ჩვენმა მოძმე ქართველმა ქრისტიანებმაც."


**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5\frac{1}{2}$ ს. **ელიზაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. ბებუთოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა

**კ ბ ი ლ ი ს**

**ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ხულიგანების „ზემშჩინა" დიდად უკმაყოფილოა პრემიერ-მინისტრის კოკოვცევისა. ერთი სიტყვა არ დასძრა შინაურ პოლიტიკაზე და ამით ოპოზიციას ამცნო, რომ არ თანაუგრძნობს ამ პოლიტიკის დღევანდელ მიმართულებასაო. რასა ჰგავს ეს? მთავრობის მოთავე არ თანაუგრძნობს მთავრობის პოლიტიკას, უარისყოფით ეკიდება თავის ამხანაგ-მინისტრებს, თითქმის ღალატობს საერთო საქმესო... გაზეთი გაჯავრებით ეკითხება კოკოვცევს:

„გვითხრას პრემიერ-მინისტრმა, ნუ-თუ ის არ თანაუგრძნობს იმ ღონისძიებათ, რომელთაც კასსომ მიჰმართა სკოლის ასაღორძინებლად? ნუ თუ იმას არ მოსწონს რუხლოვის პოლიტიკა, მიმართული არა-რუსთა წინააღმდეგ, ან შჩეგლოვიტოვის ცდა, რომ ებრაელები გამოაძეოს სასამართლო უწყებიდან? ნუ-თუ კოკოვცევი წინააღმდეგია შინ. საქ. მინ. მაკლაკოვის კანონ-პროექტისა, რომელმაც ბეჭდვითი სიტყვის თავგასულობიდან უნდა დაიცვას სახელმწიფოსა და ეკლესიის მთლიანობა და არსებობა"?!

როგორც სჩანს, ჩვეულებრივი ინტრიგა დაწყებულა მაღალ სფეროებში: მაკლაკოვის მომხრენი კოკოვცევს უპირებენ გადაყლაპვას.

* *
*

ოქტომბრისტების „გოლოს მოსკვი" აფრთხილებს მთავრობას: რა არის მე-4 სათათბირო—ეს გუბერნატორების და ეპისკოპოზების მეცადინეობით არჩეული სათათბირო,—და თუ ესეც წინააღმდეგია მთავრობის პოლიტიკისა, ცუდათ ყოფილა ხომ საქმეო?!. „თვით საბიუჯეტო კამათმა, განაგრძობს გაზეთი, დაგვანახა, რომ რუსეთში დიდათ გაიზარდა საოპოზიციო განწყობილება

—მიდრეკილება. მთელი სათათბირო ოპოზიციაშია,—მარკოვიდან დაწყებული ჩხეიძემდე, ხოლო სათათბიროსთან ერთად მთელი ქვეყანაც ოპოზიციაშია. საზოგადოებრივი უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება და ღრმავდება. უკმაყოფილოა არა მარტო პროგრესიული რუსეთი, რეაქციონურიც-კი, ამრიგად, მთავრობა მარტოდ-მარტო რჩება, ყველასაგან გარიყული. ეს-კი საშიშია მთავრობისათვის და ქვეყანასაც უქადის მღელვარებას"..

ოქტომბრისტებს ხომ არ განუზრახავთ ნეტავი მხარი დაუჭირონ „გარიყულს" მთავრობას?..

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

**18 მაისის სხდომა.**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

**თავ. სვიატოპოლკ-მირსკი** ორს საათს ლაპარაკობს. მისი აზრით სოფლის ცხოვრების უკუღმართობის ძირითადი ფესვი მის მოუწესრიგებლობაში და სამოციან წლების ნაადრევ რეფორმებში არის დამარხული. მოლაპარაკემ სთქვა: ეს რეფორმები დასავლეთ ევროპის კულტურის მცდარი შეგნებით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბატონ-ყმობამ მცირე ხანს გასტანა, მისი როლი ფრიად დიდმნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში. ბატონ-ყმობა ჰსწვრთნიდა და აკეთილშობილებდა გლეხებს, მემამულეთა არსებობას აზრს და მნიშვნელობას აძლევდა. ბატონ-ყმობის უდროოდ გადაგდებამ სულ მთლად დაუკარგა პიროვნება და გაანადგურა მემამულენი, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა უფრო გააუარესა. მემამულეთ ადგილი, რომელნიც გლეხთა ახლო მდგომ ელემენტს წარმოადგენდა, დაიჭირა სამაზრო პოლიციამ, რომელსაც კეთილი სახელი არასოდეს არ ჰქონდა მოხვეჭილი. მისი აზრით იდეა თავის თავად კარგი იყო, მხოლოდ მისი ცხოვრებაში განხორციელება სასურველად ვერ მოხდა. მოლაპარაკის სიტყვით, მიწათ-მოწყობის რეფორმებში გლეხობას არ უნდა მიეცეს მთავარ ხელმძღვანელის სადავე, რადგანაც იგი კულტურულად და ეკონომიურად ფრიად ჩამორჩენილია; ვერც უნიადაგო მოხელენი იკისრებენ ამ რთულს როლს. სოფლის წარმატების გზაზე დაყენება შეუძლიანთ მხოლოდ კერძო მიწათ-მფლობელთა წარმომადგენლებს.

**მილიუკოვი.** ერთ საათს ლაპარაკობს. იგი ახასიათებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას ეროვნულსა და სარწმუნოების საკითხთა დარგში. ნაციონალურმა ლოზუნგმა—რუსეთი რუსებისთვის,—სხვა ეროვნებათა შევიწროვება გამოიწვია ამ დევნის და შევიწროების პირველი მსხვერპლი ებრაელები არიან. ცენტრალიზმმა დაჰბადა სრულიად უნიადაგო და უნაყოფო პოლიტიკა, ეროვნული საკითხი ფრიად გაამწვავა და გაართულა. ეროვნულ საკითხის გამწვავება მარტო მთავრობის პოლიტიკის წყალობით არ მომხდარა; ეს შედეგი, იყო აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნებათა შეუღლისა. კადეტები ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ და არიან გაბატონებულ ეროვნების ძალმომრეობისა; ისინი იცავენ პატარა ერთა უფლებას, თუნდა ეს დაცვა სახელმწიფოს შემწეობითაც მოხდეს (ტაში მარცხნით). სარწმუნოებრივ პოლიტიკაშიაც შემჩნეულია ისტორიული არქეოლოგიის აღდგენის წადილი. დროა უკუვაგდოთ ეს არქეოლოგია. თუ კი რუსული სული არის მე-16 ან მე-17 საუკუნის სული, მაშინ რუსეთს მომავალი არ ჰქონია. უნდა ვაღვიაროთ, რომ ახალი რუსული სული არის ნამდვილი, ჯანსაღი, მშვენიერი სულია; იგი სცდილობს გაინთავისუფლოს თავი იმ ნაკლთაგან, რაც ამახინჯებდა და ულამაზოდ ჰქმნიდა ჩვენს წარსულს (ტაში მარცხნით). რადგანაც სამინისტროს პოლიტიკა მოქმედების ყოველ დარგში წარმოადგენს განმანადგურებელ და გამხრწნელ პოლიტიკას, კადეტები მის ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. (ხანგრძლივი ტაში მარცხნით).

**კერენსკი.** სვიატოპოლკ-მირსკის მიერ გამოთქმული იდეოლოგია იმ მხრით არის დამახასიათებელი, რომ იგი მმართველ კლასთა იდეოლოგიას წარმოადგენს. თუ გსურთ თემობის მოსპობა, ამას იმ საშუალებით და ღონის ძიებით ვერ მოახერხებთ, რომლითაც ებრძოდით მას. მთელი ბრძოლა თემობასთან იმაში გამოიხატებოდა, რომ ასახლებდნენ ასობით გლეხებს სხვა და სხვა გუბერნიებში, მერე ასახლებდნენ არა ისეთ ელემენტს, რომელნიც არსებულ წესწყობილების წინააღმდეგნი იყვნენ, არამედ მათ, ვინც რუს გლეხთა ცხოვრების ძველ წესწყობილებისთვის იბრძოდნენ. მოლაპარაკე აღნიშნავს, თუ რა გვარად არიან შევიწროებულნი მუშათა ორგანიზაციები ეკონომიურ ბრძოლაში, რა დევნას განიცდიან რუსეთის იმპერიაში მოსახლე ერნი. აქ მარტო პოლიტიკური ბრძოლა არ არის, დასძენს მოლაპარაკე, აქ სოციალური ბრძოლაც არის; აქ სურვილი და წადილია დაუხშონ თვითცნობიერობა დემოკრატიას, ჩაჰკლან მასში თვითმოქმედების უნარი, ჩააქრონ მისი კულტურისადმი მისწრაფება (ტაში მარცხნით).

**მარკოვი მეორე.** რაც კერენსკიმა სთქვა, ყველა რომ ჭეშმარიტი იყოს, რუსეთში ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ამისი მსგავსი არაფერი არის. მილიუკოვის რწმუნება, ვითომც უკიდურეს მემარჯვენეთათვის უცხო იყოს ნაციონალიზმი, ჭეშმარიტი არ არის. მემარჯვენენი ნაციონალიზმს სხვა პრინციპზე მაღლა არ აყენებენ. მათთვის ერთნაირად ძვირფასია სამი წმინდათა-წმინდა: მართლმადიდებელი სარწმუნოება, განუსაზღვრელი ძ თვითმპყრობელი მეფე და რუსის ხალხი. დასასრულს მარკოვი ებრაელებზე ლაპარაკობს (ტაში მარჯვნით).

**გელოვანი.** ახასიათებს მეფის მოადგილის პოლიტიკას კავკასიაში. სრულიად უსაფუძვლოა და გაუგებარი მემარჯვენეთა გალაშქრება მეფის მოადგილის წინააღმდეგ, მათი ბრალდება, ვითომც იგი აწარმოებდეს ლიბერალურ პოლიტიკას და ადგილობრივ მცხოვრებთ ალალებდეს, აქეზებდეს. მეფის მოადგილის მოქმედება სრულიად ეთანხმება შინაურ პოლიტიკის საერთო კურსს თუ კი რაიმე განსხვავება არსებობს, მხოლოდ იმაში, რომ მეფის მოადგილე უფრო ხერხიანად, უფრო მტკიცედ და გამჭრიახად ახორციელებს თვის პროგრამას, ვიდრე სხვა ადმინისტრატორები. შვიდი წლის წინად აღთქმული რეფორმები ჯერაც არ არის აღსრულებული, ადგილობრივი მცხოვრებნი დევნას განიცდიან საადმინისტრაციო და სასამართლოს დაწესებულებებიდან; კვლავად სწარმოებს შუღლის და განხეთქილების პოლიტიკა ეროვნებათ შორის. ამ პირობებში იმყოფება კავკასია, და ამის წყალობით ბუნებით მდიდარი მხარე წარმოადგენს დაქვეითებულს და ჩამორჩენილს მხარეს. ნივთიერადაც კავკასია უკან-უკან იწევს, ღარიბდება. ეს რეგრესი არ შეჩერდება, სანამ კავკასია არ მიიღებს ავტონომიურ წესწყობილებას, დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას.

**მლ. მაცეევიჩი.** აღნიშნავს, თუ როგორ არიან ადმინისტრაციისაგან შევიწროებულნი კათოლიკები ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ორშაბათისთვის გადაიდო. სათათბირომ მიიღო კადეტების შეკითხვა ფინანსთა მინისტრისადმი მიმართული.

შემდეგი სხდომა ორშაბათისთვის დაინიშნა.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი.** მორიგ კონცერტზე პავლოვსკში დიდი აღტაცება და მოწონება გამოიწვია არაყიშვილის კომპოზიციებმა, რომელიც განმეორებულ იქნება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ კვირას, 19 მაისს, ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში **დიდი დღესასწაული** იყო. ამ დღეს წირვა გადაიხადა საქართველოში ახლად ჩამოსულმა კათოლიკეთა ტირასპოლის ეპისკოპოსმა ი. კესსლერმა ადგილობრივ და საქართველოს სხვა ადგილებიდან ჩამოსულ სამღვდელოების თანამწირველობით. წირვაზე ქართულად სახარება წაიკითხა ბათომელ კათოლიკეთა მოძღვარმა მამა მღებრიშვილმა, მანვე წარმოსთქვა ქართული ქადაგება, რომელშიაც, სხვათა შორის, განმარტა მღვდელ-მთავრის კესსლერის ჩამობრძანების მნიშვნელობა. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, ბევრი მართლმადიდებელიც იყო, რომელნიც მოხიბლა სასოებითა და სილამაზით სავსე მუსიკა-გალობამ და სადღესასწაულო ღვთისმსახურებამ.

✦ **ტფ. სათავად-აზნ. ბანკი.** ტფ. საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება დანიშნულია 23 მაისისათვის. კრებას ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის გარდა მოხსენდება: წესდების მე-100 მუხლის შეცვლის პროექტი, ბანკისთვის საკუთარ შენობის აგების პროექტი, ხარჯების შემცირების პროექტი და სხვა წვრილმანი მოხსენებანი. არჩევნები უნდა მოხდეს: ბანკის თავმჯდომარისა, ნაცვლად უგან. თ-დ მ. ა. გრუზინსკისა, გამგეობის წევრისა, ნაცვლად თ-დ დ. ა. ფავლენიშვილისა, დამფასებელ კომისიის წევრისა, ნაცვლად ს. ნ. ყაზახიშვილისა, რადგან ყველა მოხსენებულ პირთ სამსახურის ვადა უთავდებათ; არჩეულ უნდა იქმნას აგრეთვე ერთი წევრი დამფასებელ კომისიისა, ნაცვლად სამსახურიდან გასულის თ-დ გ. რატიშვილისა.

მოგვყავს ბანკის ანგარიშიდან ზოგი ცნობა: საანგარიშო 1913 წელს ბანკს გაუცია გრძელ-ვადიანი სესხი 5.373.300 მანეთისა, აქედან ქალაქის მამულებზე 4½ მილიონამდე და სოფლის მამულებზე—900 ათასზე ცოტა მეტი. სულ დღემდე დაარსებიდან ბანკს გაცემული აქვს გრძელ-ვადიანი სესხი 48 ნახ. მილიონ მანეთისა, რომელთაგან უმეტესი წილი ქალაქის მამულებზე ირიცხება (თითქმის 41 მილიონ მანეთისა). მოკლევადიანი სესხი საანგარიშო წელს ბანკს გაუცია 560 ათას მანეთისა. საანგარიშო წელს ბანკს გაუყიდია ვალებში სულ 72 მამული, თვითონ დარჩენია 17 მამული. ბანკის მთელი მოგება საანგარიშო წელს ყოფილა 869,316 მანეთი, წინა წელს კი 819,322 მანეთი; წმინდა მოგება კი საანგარიშო წელს უდრის 489,741 მანეთს თითქმის 179 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე წინა წელს.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** მეფის მოადგილის წინადადებით 19 მაისს ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში მშობელთა წრეების თავმჯდომარეთა კრება მოხდა ერთის წარმომადგენლის ასარჩევად საუწყებათაშორისო კომისიაში, რომელმაც პოლიტეხნიკუმისთვის ადგილი უნდა აარჩიოს. აირჩიეს **ინჟ. ნეფტონოვი**, საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელი.

საუწყებათაშორისო კომისია 11 წევრისაგან შესდგება. თავმჯდომარედ არის: მეფის მოადგილის საბჭოს წევრი **მ. პ. გაკელი**, ხოლო წევრებად — კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი **ნ. ფ. რუდოლფი**, კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე **ფ. ლ. ფეხნერი**, სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის გამგე **ა. ა. პავლოვი**, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი **კ. ნ. აფხაზი**, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **ნ. ი. საგინაშვილი**, ტფ. სახაზინო პალატის გამგე **ფ. ა. სმირნოვი**, მშობელთა წრეების წარმომადგენელი **ინჟ. ნეფტონოვი**, ქალაქის მოურავები: ტფილისისა—**ა. ი. ხატისოვი**, ბაქოსი **ლ. ლ. ბიჩი** და კავკავისა—**ს. დ. ბაევი.** კომისია მუშაობას ამ თვის დამლევს შეუდგება.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** ბათომიდან ტფილისს დღეს დაბრუნდება.

✦ **კავკასიის სამთა-მადნო სამმართველოს** წარსულ აპრილის განმავლობაში 28,506 მან. 3 კ. შემოსავალი ჰქონია.

✦ **საბირჟო კომიტეტმა** დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს სამელიორაციო კრებაში, რომელიც მოწვეულ იქნება ტფილისში, 1914 წლის პირველ ნახევარში. კომიტეტი კრებას წარუდგენს, სხვათა შორის, მოხსენებას მტკვარზე ნავოსნობის მოწყობის შესახებ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო, მოიწვიონ მიმდინარე წლის დეკემბერში საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრება.

✦ რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული წიგნი „ხმა ცხოვრებისა" ლექსები გ. ძამუკოვისა. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს ხუთ შაურად.

✦ **საბირჟო ცნობები.** 20 მაისს შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მ. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 70 კ., აძლევენ—83 მ. 50 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., 75 კ., აძლევენ—79 მან. 45 კ.

✦ **არქეოლოგიურ ნაშთის გატაცება.** სოფ. ატენის ცნობილ სიონის ტაძრის ერთ-ერთ კედელს ჰქონდა იშვიათის ხელოვნების ქართული ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც სიძველეთა მცოდნეების ყურადღებას იქცევდა ყოველთვის. ამ ქვის გატაცების ამბავს გვატყობინებენ: ამ დღეებში ეკლესიას თავს დასხმია სამი თუ ოთხი შეიარაღებული კაცი, რომელთაც გაუნგრევიათ კედელი, ამოუღიათ ის ქვა და გაქცეულან. მძარცველების ვინაობის შესახებ არავინ არაფერი არ იცის; აცნობეს გორის ადმინისტრაციას.

✦ ტფილისში მყოფმა **განაკოთოტამ** სურვილი განაცხადა ქართულ წარმოდგენის ნახვისა. ამის გამო დღეს სახალხო სახლში „ლალატსა" სდგამენ ა. წუწუნავას რეჟისორობით.

✦ **ყარაიაზის საცდელ მინდვრის** დასათვალიერებლად ხვალ ტფილისიდან მიემგზავრებიან მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს კავკასიის წარმომადგენელი კ. ი. შაშკოვსკი, სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი, მებამბეების სპეციალისტი პ. ნ. ტარატინოვი და საბოტანიკო ბაღის დირექტორი ა. ხ. როლლოვი.

✦ კვირას, 19 მაისს, ქართულმა საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდმა პირველად იგალობა ბ. მიხ. კავსაძის ლოტბარობით ანჩისხატის ტაძარში. ამას იქით გუნდი ყოველ კვირა-უქმე დღეს იგალობებს ანჩისხატში.

✦ **ნიაღვრები და სეტყვა ქართლში.** ქართლის სხვა და სხვა ადგილას მაისის შუა რიცხვებში დიდი წვიმები მოსულა, ზოგან სეტყვაც და დაუზარალებია მეურნენი. ხამეტანი ზიანი მიუყენებია ნიაღვრებსა და სეტყვას ატენის ხეობისთვის, სადაც სოფ. ხიდისთავი, მაგალითად, თითქმის გაუნადგურებია სტიქიონს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართველ ქალთა კრება.** 18 მაისს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ქ-ნ ო. ალლაძის თავმჯდომარეობით მოჰხდა ქართველ ქალთა კრება, რომელსაც 84 ქალი დაესწრო. კომისიამ წაიკითხა ა'ლად შემუშავებული პროექტი ქართველ ქალთა საზოგადოების წესდებისა. კრებამ წესდება შეუცვლელად მიიღო. კრების დასასრულს დამსწრეთ სიტყვით მიჰმართა ქ-ნმა ეკ. გაბაშვილისამ, რომელმაც აღნიშნა მნიშვნელობა ქართველ ქალთა საზოგადოების დაარსებისა. კრების მიერ მიღებული წესდება ამ დღეებში გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **„ახალ კლუბის"** წევრთა არაჩვეულებრივი კრება, რომელიც 19 მაისისთვის იყო დანიშნული, კლუბის საზამთრო შენობის გადაკეთების საკითხის განსახილველად, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო და 26 მაისისთვის გადაიდო.

✦ **სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება.** დღეს რეალურ სასწავლებლის შენობაში ერევნის ეპისკოპოს პიმენის თავმჯდომარეობით კავკასიის სამოსწავლო ოლქის საშუალო სასწავლებლების სამღვთო სჯულის მასწავლებელთა კრება დაიწყება. კრების მონაწილენი უკვე ჩამოვიდნენ. კრება დაახლოვებით 10 დღეს გასტანს.

## სასწავლებლებში

✦ **საკადეტო კორპუსში** მეცადინეობა 23 მაისს დასრულდება. 24 მაისს მოსწავლენი საავარაკოდ მანგლისს გაემგზავრებიან.

## ბათომი

✦ ოთხშაბათს, 22 მაისს, **შმაევსკის თეატრში**, გაიმართება ლიტერატურული საღამო. პირველ განყოფილებაში ცნობილი ლექტორი **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ტრაგედია და ილია ჭავჭავაძე" დასასრულ საკუთარ ლექსებს წაიკითხავს იოს. გრიშაშვილი. ხოლო რობაქიძე—ლეგენდებს. დასაწყისი საღამოს რვანახევარ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

## ხაშური.

✦ შაბათს, პირველ ივნისს, მგოსან ვაჟა-ფშაველას მონაწილეობით გაიმართება სალიტერატურო საღამო, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე დ. კასრაძე, თ. რაზიკაშვილი, ს. ფაშალიშვილი, მსახიობი შაქრო საფაროვი და სხვანი.

# ვახტანგ ორბელიანი

ღირსეულ მამულიშვილთა ძვირფასი სარკოფაგები მრავლად არის ჩვენს პატარა საქართველოს პანთეონში. როდესაც ამ სახელოვან ძეგლთა შორის გიხდებათ თვალის გადავლება, უეჭველია, შეჰნიშნავთ ერთს სევდიანს პორტრეტს, რომელსაც ვახტანგ ორბელიანის სახელით ვიცნობთ. დააცქერდებით ამ სურათს, დააცქერდებით და გიკვირთ, რომ საზოგადო ფონი რაღაც საიდუმლო ნისლს მოუცვია. მართალია, ამავე დროს თქვენ ამჩნევთ ზოგიერთა ხაზთა ცეცხლს, ცეცხლს—ღვთიურ ნაპერწკლად აღგზნებულს, რომელიც საამო სითბოს აკვესებს ხშირსა და გადაკალმულს წარბებ ქვეშ მოფარებულ ნაღვლიან ტბიდან „იმედის" ალით, მაგრამ ალი იგი ისე ციმციმებს, რომ მისგან შემოხეული მელანქოლიის ზეწარი თვალწინ გიშლით კვლავ სევდით დაზიდულ ჩრდილთა ტონებს. თვით გადაშლილი სპეტაკი შუბლი, სადაც მჭმუნვარების თავისი დაღი ასხმულ ნაოჭებით უნდა დაესვა, ვერ ასცდენია ამ საზოგადო ნაღველს და, ვით გახსაიერებული სევდა, პორტრეტის ფონზე მარმარილოს ცივ სვეტად გამოქანდაკებულა.

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 5 აპრილს, 1812 წელს, ქართველ არისტოკრატიულ ოჯახში. მამა მისი პოლკოვნიკი ვ ხტანგ ორბელიანი დიდი მემამულე გახლდათ, რომელიც მოესწრო ჩვენი დიდების და დაცემის ხანას, ორთავე უკანასკნელ მეფეთა დროს—ერეკლე მეორის ხანას და გიორგი უკანასკნელისას. თვითონ ვახტანგი სიძე იყო მეფე ერეკლესი. მას ცოლად ჰყავდა მისი უმცროსი ასული, ბატონიშვილი თეკლე. როგორც მემკვიდრეობით წარჩინებული, იგი დროის შესაფერისად იყო აღზრდილი და ლექსებსაც კი სწერდა. მისი გული საქართველოსთვის იყო გაწირული. თუმცა გარემოებამ ისეთი ბედი არგუნა წილად, რომ თავის ერის წინ უნდა აემართნა მახვილი 1812 წ. საშინელ ამბოხების დროს. იგი ამ დროს მარკიზ პაულიჩის დამამშვიდებელ პოლკში იყო და პოეტ ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძესთან ერთად ებრძოდა მეამბოხეთ. ბედის მწარე ირონიამ სწორედ აქ იჩინა თავი: ქართველი ქართველისავე მახვილით იგმირება. აი, ბატონიშვილი დავითი როგორ აგვიწერს ამ სურათსა: „მოვიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა მუნ ბრძოლაი, კახთაგან იძლივნენ რუსნი. მუნ მოკლეს ვახტანგ, სიძე მეფისა ირაკლისა, ყაფლანის შვილი, მეუღლე თეკლასი და დასჭრეს მუხლსა შინა ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ჭავჭავაძე, ვინაიდან მათ ეპყრათ კერძოი რუსთა და **პირისპირ მამულისა თვისსა იყვნენ მტერ** (ხაზი ჩვენია ღ. კ.). მაშინ დაჰმუნდა ამას ზედან მარკიზი. წარდგა ზურაბიშვილი ნინია, მოურავი მარტყოფისა და უთხრა მარკიზსა: „გაჩვენოთ მე გზაი ვაკე, უკეთუ მომცე ნიჭი რაიმეო". ამის ზედან ძხიარულ იქმნა მარკიზი, გაუძღვა მინდვრის გზით და მიიყვანა ჩუმლაყს. მივიდა რა ჩუმლაყს, მუნ სოფელსა შინა შეიპყრა კაცნი ხუთნი ძ დამოკიდნა ხეთაზედა და მოაშთუნა. იხილეს რა კახთა ტირანული საქმე ესე, შეიპყრეს მათცა ხუთნი სალდათნი და ერთი აფიცარი და მათცა მოჰკიდნეს ძელსა და მოაშთუნეს იგინი პირისპირ მარკიზისა, რომელსაცა სჭვრეტდა თვალითა თვისითა". ამის შემდეგ იგი მწუხარედ დაასკვნის: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თვისთა უფალთაო".*)

ასეა თუ ისე, ამ უკვანობისა და ქართველთა უხამსობის დროს, როდესაც სასოწარკვეთილების ქარმა მწუხრად დაჰბერა ყოველ კუთხეს, იშვა ჩვენი პოეტი. აჯანყებამ იმსხვერპლა მამა მისი და შესაძლებელია ეს იყო მიზეზი, რომ შვილს მამის სახელი გადუღოცეს.

ვინ იცის, ვახტანგს რა ბედი სწვევოდა, რომ აღმზრდელად თავზე არ დასდგომოდა ნეტარი დედა მისი თეკლე ბატონიშვილი. ეს გახლდათ თვით დედოფალ დარეჯანის მიერ ფრიად სათუთად აღზრდილი და განსწავლილი ასული, რომლითაც არა ერთხელ მოუქია თავი თვით მეფე ერეკლეს: „ჩემს ვაჟიშვილებსაო", — ხშირად უთქვამს, როგორც გადმოგვცემს გრიგოლ ორბელიანი,—ჩემი თეკლეს სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი მამა ვიქნებიო". მართლაც, თეკლე ბატონიშვილი შემკული იყო ყველა იმ თვისებით და სათნოებით, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ქართველ დედოფალთა სამკაულს შეადგენდა. და აი, ისიც საყვარელ პატარა ვაჟს არ აკლებს ზრუნვას, ცამეტ წლამდისინ არსად უშვებს, თავისთან ზრდის, ასწავლის ლოცვებს, საღმრთო სჯულს და თან ზღაპრების ნაცვლად ჩასჩურჩულებს ივერიის დამცველთა საარაკო ამბებს, მამულის სიყვარულს. აი, ამიტომ იყო, რომ პატარა ვახტანგის გული იმავე თავიდან ერთთგვარ მელანქოლიამ მოიცვა, სამშობლოს სიყვარული გულზე დაღად დაესვა და მისი ბედისა და უბედობის გარშემო აამოძრავა მისი გონება, მისი სული, მისი გრძნობანი, რათა ტარიგად შესწირვოდა მის წმიდა სახელს. მამული, სჯული,—აი ის რწმენის კოდექსი, რომელიც სათნო დედამ ხელში მისცა ცამეტი წლის ყრმას, როდესაც რუსეთისაკენ გაისტუმრა სასწავლებლად.

1825 წელს, პატარა ვახტანგი მიაბარეს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. ხუთს წელიწადს დაჰყოფს აქ, ვიდრე უცხო ჰავას მისი ჯანმრთელობა შეუძლებდა. ხუთ წლის განმავლობაში იზრდებოდა იგი ამ უცხო და მისთვის უცნაურს საზოგადოებაში, რუსების შუა. ხუთი წლის განმავლობაში მოწყვეტილია სამშობლოს საზღვრებს, ტოლ-მეგობრებს, საყვარელთა წრეს. ამისდა მიუხედავად მას არ დაუვიწყნია სამშობლო ენა და თავის რწმენას, რწმენას, რომელიც ბატონიშვილმა, მისმა დედამ, როგორც უკვე ვთქვით, უწმინდეს კოდექსად მისცა ხელში, ერთი ბეწოდაც არ უღალატა. მართალია, ის შეურიგდა სამხედრო მუნდირს, შეურიგდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს მის იდეალს შეადგენდა, არამედ იმიტომ, რომ ეს იმ დროს მიუცილებლად იყო მიჩნეული.

საბედნიეროდ, პაჟთა კორპუსს ცუდი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს პოეტზე. პირიქით, იგი ძალაუნებურად გაიტაცა იმ რომანტიულმა ტალღამ, რომელსაც ჟუკოვსკის მეოცნებე მუზა დასავლეთ ევროპიდან მოაგორებდა. ამასთან ერთად იგი გაფაციცებით ეწაფება უცხო ენების სწავლას, განსაკუთრებით ფრანგულ ენას, რომელიც ძლიერა ჰშველის ფრანგთა კლასიკების შესწავლის დროს. საზოგადოდ ამ დრის მის საყვარელ წიგნებად ითვლებიან შექსპის თხზულებანი, გიოტე, შილლერი, ვიქტორ ჰიუგო, რომელთა გავლენა ასე რიგად კამოჰკრთის მისი ნაადრევი პოეზიიდან; როგორც მაგალითად, მიბაძვა ვიქტორ ჰიუგოსადმი „რად არ ვარ მეფე", „გამოსალმება" და სხვები. მაგრამ რომანტიულ მსოფლ-მხედველობის შემუშავებაში მას ხელს უწყობდა თვით საქართველოს გარდამავალი ხანა, რომელსაც მოჰყვა იმ დრონინდელი ახალთაობის მიერ სამშობლო ენის შეძულება, ჩვენი ტრადიციების მივიწყება, ერთი სიტყვით, ჩვენი სოციალური ათასგვარი ავადმყოფობანი.

მაგრამ პოეტმა დიდ ხანს ვერ გაუძლო უცხო ჰავასთან შეჰკლავებას. იგი დასუსტდა, დასნეულდა. შეშინებულმა მისმა დედამ თეკლე ბატონიშვილმა როცა ინახულა ვახტანგი, ერთი დღითაც აღარ გააჩერა იგი პეტერბურგში ძ სამშობლოში წამოიყვანა. მეტი არ იქნება გავიხსენოთ ამ ხანაში დაწერილი ლექსი, რომელიც ძვირფას დოკუმენტს შეადგენს როგორც პატარა პოეტის სულის კვეთების დასახასიათებლად, ისე მისი ცხოვრების დასახატად. აი ეს ლექსიც, რომელიც წერილის სახით გამოგზავნა მან რუსეთიდან:

„განდევნილს შორსა, შეუწყნარსა
ამ წყვდიად მხარეს
გული ძლივს მიძგერს, ვეღარ ვუმზერ შენს ნათელს სახეს!
რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს
ყოფნით შენით,
ის იცის ღმერთმა, მაღლა ერთმა, არ
ითქმის ენით.
ახლად შემოსულს ამა სოფელს
მწერტს ჰმუნვა მწველი,
ვერ მახარებენ ღამით მთვარე,
დღე—მზე ცხოველი.
რა ვეღარ გხედავ, სული მიკვნესს,
გული მიკვდება,
ეგრედ ყვავილი მზის უსხივოდ
უდროოდ სჭკნება.
თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა,
ცვარი არ ერგო,
ვინ ჰკითხავს, „რისთვის აღარ
ხარობ და ხმები, ნერგო?"

*) ციტატი ამოღებული გვაქვს ალ. ფრონელის ხსენებულ წიგნიდან „კახეთის ამბოხება" 163—164 გვ.

**შეცდომის გასწორება**. სურათებიანი დამატებაში (გაზეთის № 898, დამატების № 158) დაბეჭდილია ლექსი, „კახეთს“ ვაჟა ფშაველასი რომელშიაც შეგვეპარვია შემდეგი შეცდომები: მესამე სვეტზე მე-19 სტრიქონში დაბეჭდილია სიტყვა „მკვდარი“ უნდა იყოს—**მკვიდრი**. იმავე სვეტზე 23 სტრიქონში დაბეჭდილია სიტყვა „გაზარდა“ უნდა იყოს **გაზრდილა**.

## თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(14 მაისის კრების გაგრძელება*)

**თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი**. დღევანდელი ძირითადი საკითხი თავად-აზნაურობის კრების წინაშე პირველად არ არის წამოყენებული. იგი გაჩნდა 1905 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც კონცესიონერებმა თავ. ქავქავაძემ და სიმბერგმა დაჰკარგეს უფლება კონცესიაზე, რომელიც კახეთის გზა თიონეთით უნდა გაეყვანათ. მე არ შევეხები წინა დროს, როდესაც თავად-აზნაურობა შუამდგომლობდა ამ გზის გაყვანას. 1905 წლიდან თავად-აზნაურობა მუყაითად მოეკიდა საქმეს და შუამდგომლობა აღძრა არამც თუ მარტო იმის შესახებ, რომ გაეყვანათ რკინის გზა, არამედ რომ კონცესია იმისთვის გადაეცათ, ე. ი. თხოულობდა პატრონის უფლებებს. მაშინ ნამესტნიკს წარუდგინეს მოხსენება, რომელშიაც შუამდგომლობდნენ, რომ ნამესტნიკს თავად-აზნაურობის მხარი დაეჭირა. ამ დღიდან გარკვეულად იხატება თავად-აზნაურობის სურვილი—გაეხდეს ბატონ-პატრონი რკინის გზისა. ეს ძირითადი მოტივი იყო, რომელიც საფუძვლად ედო რეალიზაციას და რუსეთ-აზიის ბანკთან ხელშეკრულებას. ბანკს, პატრონის უფლებანი დაეთმო მხოლოდ შენების დროს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ შენების გათავების შემდეგ თავად-აზნაურობა სრული მფლობელი იქნება რკინის გზისა. აქ გუშინ წინ, და წინად კი პრესაში, საკითხის განხილვა დაყენებული იყო არა ისე, როგორც საჭიროა, მაგალითად:—გვქონდა თუ არა ჩვენ,—მე და თავ. გურამიშვილს უფლება, რომ ხელშეკრულება გაგვეთავებინა. ეს—მეორე ხარისხოვანი საკითხია და იმდენად საკამათოა, რომ იურისტებიც კი ვერ შეთანხმდნენ და ერთი აზრი ვერ გამოიტანეს. მე მგონია, რომ თუ ამ ხელშეკრულებას არ მივიღებთ, შედეგებ ცუდი იქნება იმით, რომ შეიძლება საქმემ თავად-აზნაურთათვის არა სასურველი ხასიათი მიიღოს. მაგრამ, ვიმეორებ, იურიდიულ საკითხს ამ საქმეში არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ასე დიდხანს ვილაპარაკოთ მასზე. იურიდიული კამათიდან საკითხი სხვანაირ წიადაგზე უნდა დავაყენოთ და პირველ ხარისხოვან მნიშვნელობამდე უნდა ავიყვანოთ. კახეთის რკინის გზა, კოჯორის ან ფუნიკულერის გზა კი არ არის. გზა გაჰყავთ მხარეში, რომლის გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ გზა გახდება შემაერთებლად შავი და კასპის ზღვათა შორის მაგისტრალისა. ეს გზა საქონლის გაცვლა-გამოცვლის მხრით მძლავრი იქნება. იგი გადის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, სადაც ერთთავად ვენახებია, აგრეთვე ვარდის ზეთი, რომლის პატარა შუშა 300 მანეთი ღირს; გარდა ამისა აქვე მოჰყავთ თამბაქო, ბამბა და სხვა უმაღლესი კულტურის ნაწარმოები. ამ მხარეს ერთი მხრით შემორტყმული აქვს კავკასიის უმთავრესი ქედი, რომელის წიაღითაც დიდი ხანია ევროპიელი კაპიტალისტები დაინტერესებული არიან. ნუ თუ ასეთი საქმე სახიფათოა და ხელიდან უნდა გაგვექცეს ჩვენივე დაუდევრობის გამო? ნუ თუ ჩვენ ორივე ხელით არ უნდა ვებღაუჭებოდეთ მას! გვეუბნებიან, მთელი კახეთის ნაწარმოებ ღვინოს ერთი თვის განმავლობაში გამოიტანენო. ვთქვათ ასეც იქნება. მაგრამ თუ ეს ერთი თვის გამოტანა მოგვცემს ობლიგაციებზე 600,000 სა და აქციებზე 100,000 მანეთს,—ჩვენთვის სულ ერთია, თუ დანარჩენ დროს მოძრაობა ისეთი არ იქნება. ჩვენთვის საჭიროა შემოსავალი და საქონლის გადატან-გადმოტანის ციფრები, რომელიც ახალი გზების კომისიამ მინიმუმამდე შეამცირა, ამ შემოსავალს ამტკიცებს. ამ კომისიის ჟურნალის მიხედვით კახეთში აღნიშნულია 13,000 დესეტინა ვენახი მაშინ, როდესაც ნამდვილად კი დაურღვეველი საბუთების მიხედვით, კახეთში ვენახი 20,000 დესეტინამდეა. მხედველობაში იქონიეთ, რომ თუ დესეტინა ვენახმა 300 ვედრო ღვინო არ შემოიტანა, ის—დასაწვავია. ავიღოთ 20 ათასი კი არა 13 ათასი და გავამრავლოთ 300 ზე. მივიღებთ 3,020,000 ვედრო ღვინოს; ამ რიცხვს გამოაკლდება ის ღვინო, რომელსაც ადგილობრივ ხმარობენ მცხოვრებლები, სახელდობრ 400,000 (თითოზე 5 ვედროს ანგარიშით) მცხოვრებლებზე 1½ მილიონი ვედრო. ასე რომ გასატანი იქნება 1 ნახ მილიონი ვედრო ღვინო. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ რიცხვი გაცილებით დიდი იქნება. შემდეგ: ალაზნის მთელი მარცხენა კიდე დაფარულია ხშირი ტყით. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ციფრებს. არ მინდა საზოგადოება დავღალო, თორემ ასეთ ციფრებს ბევრს მოვიყვან. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ გზა პირველ დღიდანვე შემოსავლიანი იქნება, მით უმეტეს, როდესაც სიღნაღ-ბაქოსა და შავი ზღვის კიდის გზებს გაიყვანენ, უკანასკნელს უკვე აშენებენ. რაც შეეხება იმას, რომ ჰფიქრობენ კახეთის რკინის გზას საუღელტეხილო გზა შეუერთონო, მე ამას სიამოვნებით ვეგებები, როგორც ფაქტორს, რომელიც ასწევს კახეთის რკინის გზის შემოსავალს. გადავდივარ პატრონობის უფლებათა შეზღუდვაზე, რომელსაც აქ უთითებდნენ წინააღმდეგი ორატორები. ამის გამო მოყვანილი მოსაზრებანი არ არის მართალი“. შემდეგ თავ. ჩოლოყაშვილს მოჰყავს, წესდების 32, 36 და 37 მუხლები და განმარტავს, რომ პატრონის უფლებანი, ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობისა, უსამართლოდ არის მიყვანილი ნულამდე. შეიძლება წესდება არ იძლეოდეს ყველაფერს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფლებები არც ისეა შეზღუდული.

„ვეხები რა საკითხის ფინანსიურ მხარეს, უნდა მოგახსენოთ: ნუ თუ ვისმეს ებადება ეჭვი, რომ ჩვენ, რომელნიც ვურჩევთ თავად-აზნაურობას აიღოს თავის ხელში კახეთის გზა მისი კულტურული და მატერიალური წარმატებისათვის, ნუ თუ შესაძლებელია ხიფათში ჩავაგდოთ თავად-აზნაურობის ქონება? მათ, ვისაც ჩვენი კულტურული დაწესებულებებისა ეშინიათ, შეუძლიათ დამშვიდებულნი იყვნენ, რადგანაც მათ წარმოდგენილი კომბინაციისაგან არავითარი საფრთხე არ მოელის: პირიქით კახეთის რკინის გზა შემქმნელია კეთილდღეობის ხელშემწყობ ახალი ფაქტორებისა. იგი თითონვე შექმნის ელევატორებს და სხვა ტეხნიკურ შენობებს, დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო იმ რაიონს, რომელზედაც გაივლის, არამედ მთელ მხარეს. გარდა ამისა, ჩვენ გვაშინებენ იმით, რომ შეიძლება დამატებითი აქციები გამოუშვანო. კიდევაც რომ მოხდეს ესა, აქციებს ფასის მაქსიმუმი 300 ათასს არ აღემატება; და შეიძლება არც კი მოგვიხდეს მათი ნახევრის გამოსყიდვა. მაგრამ საერთოდ არა მგონი, რომ დამატებითი აქციების გამოშვება მოხდეს, რადგან არის სხვა გზებიც გადამეტებულ დანახარჯის დაფარვისა; მაგალითად დროებითი მოძრაობის შემოსავალი და საამშენებლო კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც დანიშნულია სააქციონერო და საობლიგაციო სესხის პროცენტების დასაფარავად აშენების დროს განმავლობაში. ეს დანარჩენი თანხა შეუდგება, თუ გზის აშენება დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე მოხდა; და ამის ფიქრის საფუძველი კი გვაქვს. ფინანსიურ მხარეზედ გადავდივარ და საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო, რომ სახლის დაგირავება დროებითი ღონისძიებაა; როდესაც აქციები ნაყიდი გვექნება და საბირჟო ფასი დაედგება, მაშინ შეძლება გვექნება დავაგირავოთ ისინი: მიღებული თანხით შეგვეძლება საადგილ-მამულო ბანკის ვალის გასტუმრება. საფინანსო კომისია სახლის დაგირავების გეგმაზე შეჩერდა, რადგანაც ეს გეგმა მცირე ხანში ყველაზე ადრე შესასრულებელია. აქციების შეძენის შემდეგ კი სხვა კომბინაციებიც შესაძლოა. ვათავებ ჩემს განმარტებას და უნდა დავსძინო, რომ ჩვენი თაობა ვერ შეასრულებდა თავისს წმინდა მოვალეობას, თუ კი ყოველ შესაძლო ღონისძიებას არ იხმარს იმ საქმის განსახორციელებლად, რომელიც ბედმა მას არგუნა. ეს იქნება მისი ისტორიული ღვაწლი“. კრება შესწყდა ნაშუადღევის 4 საათსა და 25 წუთზე და გაგრძელება დაინიშნა 15 მაისისათვის საღამოს 7 საათზე.

*) (იხ. „სახ. გაზ.“ № 898.

## ომი და ზავი

ბალკანეთის ომი ფორმალურადაც დასრულდა. მეომართა წარმომადგენლებმა 17 მაისს ლონდონში ხელი მოაწერეს ზავის წინასწარ პირობებს, რომელნიც ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ იყო შემუშავებული. არ გაივლის დიდი ხანი და საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულობაც დაიდება, რადგან ძირითადი პირობები ზავისა დაწვრილებით არის ჩამოთვლილი წინასწარ ხელშეკრულობაში და ამიტომ არც მოსალოდნელია, რომ მათ რაიმე უთანხმოება გამოიწვიონ კიდევ მომავალში. წინასწარი ზავის დედანი შემდეგს შეიცავს: 1) სულთანი ხელს იღებს თავის ევროპის სამფლობელოს იმ ნაწილზე, რომელიც მიდია-ენოსის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს; 2) ოსმალეთისა და ბულგარეთის მომავალ სამფლობელოს საზღვრად ითვლება მიდია-ენოსის პირდაპირი ხაზი; 3) ეგეის ზღვის კუნძულთა ბედის გადაწყვეტა დიდ სახელმწიფოთა ხელში გადადის. 4) დიდი სახელმწიფოები და ადგენენ აგრეთვე ალბანეთის ავტონომიურ სახელმწიფოს საზღვრებს და შეიმუშავებენ მის შინაგან ცხოვრების წესს; 5) გამარჯვებულთა მოთხოვნილებას, რომელიც სამხედრო საზღაურის გადახდას აკისრებს ოსმალეთის იმპერიას, განიხილავს პარიზის ფინანსიური კონფერენცია, სადაც მიწვეული იქნებიან მეომართა წარმომადგენლებიც.

1913 წლის 17 მაისი საბედისწერო ქრონიკონად დარჩება ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში. როგორც წინასწარ ზავის ჩამოთვლილი პირობებიდან სჩანს, ევროპაში მას თითქმის აღარა დარჩენია რა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ იმ საცოდავ ნაგლეჯს, რომელიც მიდია-ენოსის სამხრეთით მდებარეობს—ესაა კონსტანტინოპოლისა და ნაწილიც ადრიანოპოლის ვილაეთებისა. მართალია ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა თავიდანვე აღუთქვეს სულთანს, რომ ეგეის ზღვის ის კუნძულები, რომელნიც დარდანელის სრუტისა და მცირე აზიის სანაპიროების მახლობლად მდებარეობენ, ნახევარ-მთავრის დროშასვე შერჩებაო, მაგრამ ეს დაპირებაც სტრატეგიული თვალსაზრისით იყო გამოწვეული, რათა ამით უზრუნველ ეყოთ ოსმალეთის აზიის სამფლობელოს დაცვა. ოსმალეთი აწ უკვე აზიის სახელმწიფოა და მაშასადამე მისი პოლიტიკა და შინაგანი ცხოვრებაც ამ მდგომარეობის მიხედვით უნდა შეიცვალოს. დღეს ყველასთვის ცხადია ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ოდესმე საარაკო ძლიერების სახელმწიფოს ასეთი განადგურება. ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც ოსმალეთი იყო, ჯარის სამხედრო დესპოტიზმი და უდიერი ცენტრალიზმი პოლიტიკური თვითმკვლელობის ნამდვილი იარაღია; ამის უტყუარი მოწმეა ისტორიის მრავალი მაგალითი და ამასვე ცხადჰყოფს ჩვენს თვალ წინ მომხდარი ბალკანეთის ტრაგედია. სასტიკად დამარცხებულ ოსმალეთს დღეს ბევრი იმით ანუგეშებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოიშორა მომაკვდინებელი მუწუკი, რომელიც ხუთასი წლის განმავლობაში შხამავდა მის სახელმწიფოებრივ სხეულს, რადგან სწორედ ბალკანეთის პროვინციები იყო მიზეზი ქალიფების იმპერიის დაუძლურებისაო. ახლა კი, როდესაც ოსმალეთი აზიის სამფლობელოს ფარგალში მოექცა, იგი ადვილად აღორძინდება და კვლავ საჩინო ადგილს დაიჭერს სახელმწიფოთა შორისო. რასაკვირველია, წინსვლისა და აღორძინების უნარი, შესაძლოა, არც ოსმალებს აკლდეთ, მაგრამ საქმე ისაა, მოახერხებს თუ ვერა სახელმწიფო კვლავ წელში გამართვას, სანამ ძირიან-ფესვიანად არ ამოფხვრილა ის მიზეზები, რომელთაც დაღუპვის კარამდე მიიყვანეს იგი? თუ აქნამდე ოსმალეთის თან და თანი დაკნინების მიზეზი ბალკანეთის დამონებულ ერთა ცხოვრების მოუწესრიგებლობა იყო, განა დღეს იგივე გარემოება არ ემუქრება მცირე აზიაში იმპერიის დანარჩენ ნაწილს? აგერ ორმოცი წელიწადია, რაც სომეხთა უმწეო მდგომარეობა მორიგ საკითხადაა გადაქცეული და სამართლიან გადაწყვეტას მოითხოვს ევროპის დიპლომატიისაგან. არაბეთში გამუდმებული მღელვარება და ამბოხება სწარმოებს ნაციონალურ მოთხოვნილების ნიადაგზე, ხოლო ლაზისტანი, მართალია, ჯერ ჩუმად არის, მაგრამ ვინ არის იმის თავმდები, რომ ხვალ ოსმალეთის ქართველებიც არ გაახელენ თვალს და არ ჩაებმებიან ეროვნულ ცხოვრების აღორძინების ფერხულს. დღეს-დღეობით ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ნავის მოსაჭეებს გაცილებით მეტი სიფრთხილე სჭირდებათ, რათა უვნებლად გასცურონ პოლიტიკური სცილა და ხარიბდა, რადგან შინაური განხეთქილების საფრთხესთან ერთად სახელმწიფოს მთლიანობას გარეშე მტრული ძალაც ემუქრება, მცირე აზიის ოსმალეთი უკვე შემომესრილია ევროპის მადაამღილ სახელმწიფოთაგან, არა თუ მარტოოდენ ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურ—სტრატეგიულადაც. ევროპის კაპიტალისა და ნაწარმოების შეჭრას ანატოლია — სირიის მიყრუებულ კუნჭულებში მხარ და მხარ მიჰყვება მაუზერის თოფი და კრუპ-კრეზოების ზარბაზნები. ჩვენს დროში ეკონომიური დაპყრობა უკანასკნელი და აუცილებელი ნაბიჯია პოლიტიკურ დაპყრობისა. ვერავითარი ახლად შეკვეთილი დრედნოუტები ვერ იხსნიან ოსმალეთის იმპერიის აწ შთენილ ნამსხვრევებს სრული მოსპობისაგან, თუ ნახევარ-მთვარის თაყვანისმცემლები არ ჩაუკვირდებიან გუშინდელს მწარე გაკვეთილს. ეს გაკვეთილი კი, პირველ ყოვლისა, იმას ჰღაღადებს, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა, თუ მის შემადგენელ ნაწილებს არ აცხოველებს მისი დაცვისა და მთლიანობის მტკიცე რწმენა. ოსმალეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს რომ ამ ხუთი წლის წინად მომაკვდინებელი ბეცობა არ გამოეჩინათ და დაეკმაყოფილებინათ ალბანელთა ეროვნული მოთხოვნილებანი, ბალკანეთის სამხედრო კავშირი ასე ადვილად ვერ იდღესასწაულებდა ბრწყინვალე გამარჯვებას; მათი სამხედრო მძლეობა პირველად ალბანეთისა და მაკედონიის—ოსმალეთის ამ მოწინავე სანგრების სიმტკიცეს შეასკდებოდა. ესევე ითქმის მცირე აზიის მომავალის შესახებაც: სანამ ოსმალეთის ცხოვრების მესვეურნი საქმით არ დაარწმუნებენ სომხეთს, არაბეთს, ლაზისტანს და სხ., რომ იმპერია მათი ნამდვილი დედაა და არა გულღვარძლიანი დედინაცვალი, მანამდე ლონდონში ახლად შეკრული ზავი ხანგრძლივი მშვიდობიანობის ნიშანი კი არა, მარტოოდენ დროებითი „გაზავების“ მომასწავებელი იქნება.

**კოლხი.**

## აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

ამორალურ მოტივს და განზრახვას ხანდისხან (ობიექტიურად) მოჰყვება ხოლმე კეთილი შედეგი და თუ ამ შემთხვევაში არ მივიღეთ მხედველობაში იგი ამორალური მოტივი, რომელმაც შემთხვევით გამოიწვია დადებითი ხასიათის ნაყოფი, მოვლენა სამართლიანად და მიუდგომლად შესწავლილი არ იქნება ჩვენ მიერ.

◆

ნელი და სუსტია ჩვენი მსვლელობა მომავლისაკენ, თუ ჩქარი და ძლიერი, არასოდეს—უიმედობის და უკანდახევის ხანაში განსაკუთრებით—არ უნდა ვკარგავდეთ მოძრაობის სახელმძღვანელო აზრს, მოქმედების საბოლოო მიზანს.

◆

ოპორტუნიზმი იმას ჰქვიან, როდესაც კაცს მეტის გაკეთება შეუძლიან და სილაჩრისა და სისუსტის გამო გარემოებას ქედს უხრის და ამოკლებს და ჰკვეცს თავის მოქმედების გეგმას.

## მუშების ცხოვრება

ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა პეტერბურგში მუშების გაფიცვა. სხვათა შორის, კარგა ხანია გაფიცულნი არიან ახალ ლესნერის ქარხნის მუშები; მათი გაფიცვა გამოიწვია ერთის მუშის თავის მოკვლამ, რომელსაც ქურდობა დასწამეს. 13 მაისს ამ მუშებს შეუერთდა 800 კაცი ძველი ლესნერის ქარხნისა. ორივე ქარხნის მუშების საერთო კრებამ შეიმუშავა მოთხოვნილება, რომ ძველი მუშები უკანვე იქმნენ მიღებულნი, გაფიცვისათვის არავინ დაითხოვონ და მუშებს გადაუხადონ გაფიცული დღეების ქირა. რადგან ქარხნებს საჩქარო სამუშაო აქვთ, სხვათა შორის, სამხედრო სამინისტროსი, ამიტომ ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ გაფიცვა გათავდეს. დღეს ლესნერის ქარხნებში სულ გაფიცულია 2,000 მუშა.

---

სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ განიხილა შრომის ჯგუფის შეკითხვა ლენის ამბების გამო. ჯგუფის მეთაური კერენსკი თხოულობს, რომ აღიარებული იქმნას აუცილებლივ უკანონოდ მთავრობის მოქმედება, გამოქვეყნდეს სენატორ მანუხინის რევიზიის ანგარიში და დამნაშავენი პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი. შეკითხვა მიმართულია შინაგან საქმეთა, [illegible] მსაჯულების, სამხედრო და სავაჭრო-სამრეწველო მინისტრების მიმართ.

## თეატრი და ხელოვნება

**განაკო ოოტას გასტროლები.**

თანამედროვე ევროპიული სასცენო ხელოვნება ჩვენთვის უფრო მახლობელია. სიუჟეტები ამ პიესებისა გადმოგვცემენ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ თითონ განვიცდით პირდაპირ. სულიერი განწყობილება მომქმედ პირთა, მოტივები სულიერ განცდისა ჩვენთვის ნაცნობია და ჩვეული. ამიტომ აღმსრულებელიც უფრო ადვილად გვიახლოვდება, უფრო ადვილად უკავშირდება მაყურებელს და ანცდევინებს იმას, რასაც სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვანაირ თვითოეული ჩვენთაგანი განიცდის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში დიდი ნიჭით დაჯილდოვებული მსახიობი, რომელიც ძლიერად განიცდის ჩვენთვის ჩვეულ სინამდვილეს, ერთი-ორად უფრო დიდს შთაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებელზე, ვიდრე, ვსთქვათ, იაპონელი მსახიობი განაკო ოოტა, რომლის თამაშობაც ჩვენთვის უჩვევ პირობებში სწარმოებს. მიუხედავად ამისა, განაკო ოოტას თამაშობა, პირადად მე მაინც, ფრიად საყურადღებოდ მიმაჩნია, და აი რატომ.

სიუჟეტი პიესებისა ფრიად სადა, მარტივი და თითქმის ბავშვურია. აი, თუნდა, „თავის მოკვლა“. ახალგაზდა ქალს გაატანეს სხვის გადასაცემად ძვირფასი ნივთები. გზაში შემთხვევით ერთი ამ ნივთთაგანი მოჰპარეს. რომ მიიტანა, პატრონმა დაათვლევინა და დანაკლისი აღმოჩნდა. ბოლოს ქურდი აღმოჩნდა, მაგრამ საცოდავი ქალი მაინც სასჯელს ვერ ასცდა: სცემეს. ქალმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და თავი მოიკლა. როგორც ჰხედავთ, შინაარსი ფრიად მარტივია. ასეთივე მარტივი და პრიმიტიულია საერთო ფონი პიესისა და როლები სხვა პერსონაჟებისა. მაგრამ, ამისდა მიუხედავათ, ქ-განაკო ოოტას თამაშობამ გასაოცარის რეალიზმით და სიძლიერით გადმოგვცა სულიერი განცდა ახალგაზდა თავმოყვარე შეურაცხყოფილ ქალისა. უსარგებლო თეატრალობას, ცრუ ოხვრა-კვნესას და ვაი-ვიშის ძახილს თქვენ იმის თამაშობაში ვერა ნახავთ. სადა და პრიმიტიულია ასრულება ისევე, როგორც თვით შინაარსი პიესისა. მაგრამ ძალაც სწორედ ამ სისადავეშია. განაკო ოოტამ რამდენჯერმე სრულიად უბრალო, სადა ქცევით დაგვიხატა სულიერი განცდა ახალგაზდა ქალისა. აი, შემოდის იგი მხიარულად და მოაქვს ნივთები. დამშვიდებული, დინჯად დაეცემა მუხლებზე და სალამს მისცემს ნივთების პატრონს. დამშვიდებულია და წყნარი მაშინ მისი გამომეტყველება. პატრონი სთხოვს, თვლით ჩააბაროს ნივთები (თეფშები). ისიც დინჯად, აუშფოთებლად, გაჰშლის საფენს, ნელ-ნელა დათვლის. ჩაითვალა უკანასკნელი ნივთი და ერთბაშად გაოცება აღებეჭდა სახეზე. ინსტიქტიურად ხან ყუთში ჩაიხედავს, ხან თეფშებს უყურებს. მეორედ ჩაითვლის. წინანდებური სიმშვიდე ეკარგება. ხმაში კანკალი ისმის, ხელები ოდნავ უთრთოლავს. აღარავითარი ეჭვი არ არის, ნივთი აკლია. სახეც ეცვლება, გაუგებრობა და ტანჯვა ეხატება.

ბრაზ-მორეული პატრონი სცემს ქალსა და გარედ გავარდება. შეურაცხყოფილს ქალს დაებადება აზრი თავის მოკვლისა. ერთბაშად ეცვლება სახის გამომეტყველება, თითქოს ჰგრძნობთ იმ მომენტს, როდესაც ამ საბედისწერო აზრმა პირველად გაურბინა თავში. ქალი მოემზადა თავის მოსაკვლელად. არავითარი თეატრალობა არ იყო ამ მომზადებაში. სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ ჩათვლის როგორღაც მაშინალურად საბედისწერო თეფშებს, როგორღაც უაზროდ ათამაშდა პატარა თითები თეფშებზე, კონვულსიურად. ამ, თავისთავად სრულიად უმნიშვნელო, დეტალმა, სრულიად უსარგებლო და უმიზნო ჩათვლამ უკიდურესი სიძლიერით გამოჰხატა სულიერი განცდა თავმოყვარე ქალისა.

საზარელი სანახავი იყო თვით სიკვდილი. მომაკვდავის შეცვლილმა სახემ, შუშის მსგავსად ქცეულმა თვალებმა და თვითოეული ნაკვთის კონვულსიურმა თრთოლვამ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება იქონია, პირადად ჩემზე მაინც.

---

სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს,
გულსა დამშვრალსა
მწყურხარ, როგორც სწყურს ცას
ნათელი სხივი ბნელს თვალსა!*)“..

აი, როგორ იტანჯებოდა პატარა ვახტანგი, როგორ „უცვარო“ და „გამხმარ ნერგად“ ეგულებოდა თავი სამშობლოს გარედ.

ასეთი პათეტიური გატაცებით მიჰმართავს შემდეგ თავის საყვარელ „კახეთს“, სადაც მრავალ მნიშვნელოვან კითხვას აძლევს გულამოსკვნილი:

„ნუ თუ ჩავიდე ისე საფლავს და
დავიმარხო,
კახეთო ჩვენო, მშვენიერო, რომ
ველარ გნახო!“

მაგრამ პოეტს აუსრულდა ნატვრა. ერთგულმა დედამ თეკლე ბატონიშვილმა უცხო ქვეყანაში არ ჩააყრევინა ძვლები ჩვენს პოეტს და სამშობლოში წამოიყვანა. მართალია, ვახტანგი ამ დროს 18 წლისა იყო და ჯერ კიდევ კურსი არ დაემთავრებინა, მაგრამ რაკი-და ნიჭით თავის ტოლებში ერჩეოდა და წოდებაც ხელს უწყობდა, იგი სამოქალაქო ღირსების ხარისხით დაბრუნდა სამშობლოში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგის პეტერბურგში ყოფნის დროს მშვიდობიანობის დროშა არ აფრიალებულა მის სამშობლოში. ჩვენ გვეხსომება კახეთის დიდი ამბოხება მის დაბადების წელს, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი პოეტის მამა. ამის შემდეგ ერთ წელსაც არ გაევლო, რომ ბატონიშვილმა ალექსანდრემ ფეხზე დააყენა მთელი ხევსურეთი. შემდეგ წლებსაც არ ჩაუვლიათ მშვიდობიანათ. 1820 წ., ესე იგი, მაშინ, როდესაც ჩვენი პოეტი რვა წლისა ძლივს იქნებოდა, ამბოხების ცეცხლმა იფეთქა იმერეთში, რასაც დიდი სისხლის ღვრა მოჰყვა. შფოთი და დრტვინვა არც შემდეგ დამცხრალა, როდესაც პოეტი პეტერბურგს გაჰგზავნეს. თითქოს განგებ იმის მოსვლის მოლოდინში იყვნენო, 1830—1832 წ. ქართლში საშინელი უკმაყოფილება იჩენს თავს. რა თქმა უნდა მგრძნობიერე ჭაბუკი არავის ჩამორჩებოდა უკან. იგი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა თავის სამშობლოს მაჯის ცემას. პატარაობითვე სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ამბებით გაბრუებული, ეხლა თავის თავს გმირად სთვლიდა. მოახლოვდა ჟამიო, ჰფიქრობდა გრძნობათა ბურუსში გახვეული ჭაბუკი და ათას ფანტასტიურ თეორიებს იდგენა თვალ-წინ, რომელიც მის აღგზნებულ გონებას შეემუშავებინა. აი, ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი ისტორიის პერიპეტიებს მეტად ზერელედ შეჰყურებდა, სისწორით ვერ შესძლო მათი აწონ-დაწონა და ერთი ოცნების ანაბარად ჰფიქრობდა იკაროსის ფრთებით რეალობის ასპარეზზე განავარდებას. როგორც პატივმოყვარე და სათნო დედის ხელით გაზრდილი, იგი მთელის არსებით აჯანყებულ იყო გარშემო გამეფებული უკულმართობისა და უსამართლობის გამო, რომლითაც დიდად შეურაცხყოფილი იყო არა მარტო მისი თავმოყვარეობა, არამედ მთელი მისი სამშობლოსი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ. რომ იგი ერთგვარი ჰუმანისტი იყო, რომელსაც სწამდა კეთილის გამარჯვება ბოროტებაზე, სწამდა, ვითომც ყველა ხალხს შთასახული აქვს კეთილი ინსტიქტები, რომ საჭიროა მხოლოდ ამ მიძინებულ ინსტიქტთა გამოღვიძება, რათა მამულიშვილურმა აღმაფრენამ ფრთა ფრთას შემოჰკრას და აღადგინოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაო. იგი ამ რწმენით რყევაში იყო მთელს ორ წლის განმავლობაში და თავის თანამოაზრეებთან ერთად ჯერ ფარულად, შემდეგ აშკარად, გატაცებით აღვივებდა კერაში მიფერფლილს ნაპერწკალსა; მაგრამ როდესაც სიტყვით ვერას გახდა, მან ინდომა ძალით გაეკეთებინა ის, რაც მშვიდობიანი გზით ყოვლად შეუძლებელი იყო, როგორც ეს გამოცდილებიდან დაინახა. მაგრამ ძალამ ვერ გაამართლა მისი იმედი. დამოუკიდებლობა, სიყვარული, ძმობა თუ თავისუფლება, რაზედაც იგი ოცნებობდა, სრულიად ქიმერიულ ცნებად დარჩნენ. მალე ოცნება იგი სრულის კატასტროფით გათავდა და ალისფრად აცისკრებული რომანტიული პატრიოტიზმი კვლავ ბნელს ძაძებში გაეხვია.

(დასასრული იქნება)

**დ. კასრაძე.**

*) იხ. ლექსები ვახტ. ორბელიანისა, 57 გვ.

თუმცა ერთი კი უნდა აღვნიშნოთ. განაკო ოოტა დანით იკლავს თავს. დანას რომ ჩაირტყამს, ყელიდან გადმოხეთქავს რაღაც სისხლის მინაგვარი სითხე. ალბად განაკო ოოტა ამ საშუალებას მკვლელობის სრულ დასურათხატებისათვის მიჰამართავს. ჩვენ გვგონია, რომ ეს სრულიად მეტია. იგი მსუბუქი ღირსების ეფექტია, რომელიც კი არ აძლიერებს, არამედ ასუსტებს შთაბეჭდილებას, სულიერი განცდა ისედაც იმდენად ძლიერია, რომ ამნაირ ეფექტებისთვის მიმართვა საჭირო აღარა ხდება.

მეორე პიესაში განაკო ოოტამ შეასრულა კომიკური როლი მსახურისა, რომელიც ქალბატონის ტანისამოსში გამოეწყობა და სარკის წინ კეკლუცობს. ეს კომედია, რომელიც სრულიად მოულოდნელად ძალიან დრამატიულად თავდება (მსახურს მოჰკლავენ), ისეთივე პრიმიტიული ხასიათისაა, როგორც დრამა. მაგრამ ქ-ნმა განაკო ოოტამ მსახურის მხიარული როლიც ცოცხლად ჩაატარა.

წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. თავდაპირველად იგი თითქოს იმედებ გაცრუებული იყო, მაგრამ ქ-ნმა განაკო ოოტამ მალე თავისი თამაშობით მიიზიდა საზოგადოების ყურადღება და ტაშის ცემაც გამოიწვია.

Homo.

**სახალხო სახლი.** 19 მაისს ახალგაზრდა პოეტმა ვ. რუხაძემ საინტერესო ლიტერატურული - საღამო დანიშნა სახალხო სახლში. საღამო მეტად საყურადღებო იყო.

პირველ განყოფილებაში ბ-ნმა ნათაძემ... მოხსენება წაიკითხა. მხატვრულ ნაწილში მონაწილეობას იღებდნენ ...

მეორე განყოფილება დაიწყო ...

ქოროს მხარის თანხლებით... ბ-ნმა იორდანაშვილმა წაიკითხა რამდენიმე კინტოური სცენა. ამავ განყოფილებაში საზოგადოებას მოეწონა ი. სალირაშვილის თარის დაკვრა.

მესამე განყოფილება დაიწყო ემაკის იუმორისტულ ლექსით, რო-

მელიც წაიკითხა ბ-ნმა ახოსპირელმა. შემდეგ კვირტაძის მონაწილეობით ... სცენა ... ბ-ნმა ... საღამო ... ხანგრძლივი ტაშის ცემით დაჯილდოვდა. ბ-ნმა რუხაძემ მიიღო ... მადლობა ...

## სხვა და სხვა ამბავი

„სასოფლო გაზეთი“ საინტერესო ცნობებს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება კოოპერატიული მოძრაობა ... კახეთში ... ადგილობრივი ... ვატონი ... რომელიც ... ლაქ... აგრეთვე ... ბი; ... დიტ... ტელ... ლი ს... ზებით ...

... რიგ ჯიშს და არჩევენ ისეთ ძროხას, რომელიც თავის შეხედულობით და წველით სხვა დანარჩენ ძროხებში გამოირჩევა: აუმჯობესებენ აგრეთვე ცხენისა და ღორის ჯიშებსაც, სხვა და სხვა კარგი ჯიშების გამოწერით; სადგამურ ღორის ჯიშებს იწერენ

... ნაწილებას შეუდგებითო. სასურველი იქნება, რომ დანაწილების დროს ყოველ სახელმწიფოს სამხედრო დამსახურება მიიღონ მხედველობაშიო.

**მუკდენი.** დღეს შეადგინა მუკდენში მონღოლეთის საკოლონიზაციო ბანკის დაარსების პროექტი.

## დეპეშები

დეპეშათა სააგენტოს ცნობები

18—19 მაისი.

## უცხოეთი.

**ბერლინი.** ... კონფერენცია ... ოსმალეთ... ... ... დელეგატები ... ... ...

... გაცეს ეცნობება, კონფერენციის საერთო მუშაობის გეგმის შესამუშავებლად.

**სტამბოლი.** ზავის ხელშეკრულების ხელისმოწერის თაობაზე ოსმალეთის პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების საბედის-

**ათენი.** ... ზავის ხელშეკრულობის ... ... ...

**ლონდონი.** ...

**ბუქარესტი.** ...

**რომი.** ...

... განმტკიცებაში.

ჩერნოგორიის დელეგატმა პოპოვიჩმა სთქვა: ჩერნოგორიის დელეგატნი ფრიად უკმაყოფილონი არიან იმ პირობებით, რომელნიც იძულებით მიიღეს. ინგლისმა მთავარი როლი ითამაშა სკუტარის ჩამორთმევაში. დელეგატები ისე უყურებენ ინგლისს, როგორც თავისს მოვალეს. დელეგატებს იმედი აქვთ, ინგლისი შესცვლ ს ალბანეთის საზღვრებსო;

საბერძნეთის დელეგატმა განაცხადა: საბერძნეთის დელეგატებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მას შემდეგ, როცა ოსმალეთის დელეგატებმა დაარწმუნეს, რომ ოსმალეთი აღადგენს ყველა ხელშეკრულების ძალას და კონვენციებს. სტამბოლიდან კი შესაფერი ინსტრუქციები ჯერაც არ მოსულა.

დანევმა განაცხადა, ხელშეკრულებასთან ერთად დელეგატებმა დამატებითი ოქმსაც უნდა მოაწერონ ხელი, რათა ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში. სერბიის, საბერძნეთის და ჩერნოგორიის დელეგატებმა განაცხადეს, არაფერი ვიცით დამატებითი ოქმის თაობაზეო. დელეგატები 20 მაისს შეიკრიბებიან, 17 მაისის სხდომის ოქმის დასამტკიცებლად. რეიტერის ცნობით, დელეგატები დიდხანს არ დარჩებიან ლონდონში

**მადრიდი.** კაბინეთის გადადგომა გამოიწვია კონსერვატორთა ლიდერის სიტყვამ, რომელმაც განაცხადა, რომ ლიბერალურ მთავრობას კონსერვატორნი მხარს ვერ დაუჭერენო. რომანონესმა სთქვა: მთავრობა ვერ იდგება საქმის სათავეში მანამდის, ვიდრე არ გამოირკვევა კონსერვატორთა პოზიცია. მეფემ მიიღო კონსერვატორების ლიდერი მაურე.

**სალონიკი.** ვენიზელოსი ეწვია სარაფოვს. პანგეიში მომხდარ ამბების გამო ვენიზელოსმა სთქვა: რადგანაც სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, ყოველივე უთანხმოება კონფერენციამ უნდა განიხილოსო, წინააღმდეგ შემთხვევაში სამედიატორო ს სამართლოს უნდა მივმართოთო. სარაფოვი დასთანხმდა.

**სტამბოლი.** სომეხთა ეროვნულ კრებას დაესწრო ოსმალეთის პროვინციათა 80 დელეგატი. თავმჯდომარემ განაცხადა: მიუხედავად დიდ ვეზირის ალთქმისა, ამის შემდეგ 70 შემთხვევა კიდევ მოხდა სომეხთა შევიწროებისა. კრებამ დაადგინა პატრიარქატის საერო საბჭოს მიეცეს 15 დღე, რის განმავლობაში იგი გაითვალისწინებს, თუ რა ზომებს უნდა მიჰმართონ სომხებმა უბედურების თავიდან ასაცილებლად.

„ტანინი“ სწერს: 17 მაისის დღე ოსმალეთის ერისთვის გლოვის დღე უნდა იყოს. საჭიროა მდგომარეობის გაუმჯობესება, განვითარება და შურისძიებისათვის მომზ დება.

**ბელგრადი.** პაშიჩი ცარიბროდში წავიდა გეშოვის სანახავად.

**სოფია.** გეშოვი საზღვარზე გაემგზავრა პაშიჩთან მოსალაპარაკებლად.

## რ უ ს ე თ ი.

**ოდესა.** ღამით უცნობი პირნი შეიჭრნენ „კულტურის“ სტამბაში, დაიტაცეს კულტურულ-მომრიგებელთა ჯგუფის საქალაქო საბჭოს კანდიდატთა სიები და მიიმალნენ. დილით რევოლვერებით შეიარაღებულნი უცნობნი პირნი შეიჭრნენ ნოვოდუმცების ბინაზე, გაჩხრიკეს იგი, მოიტაცეს მათი კანდიდატების სიები და მიიმალნენ. ქალაქის უფროსმა ბრძანება გამოსცა უუსასტიკესი ზომები მიიღონ სტამბების დასაცავად.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „ტრუდოვოი გოლოს“-ის მე-13 ნომერი.

**პეტერბურგი.** ფარმაცევტთა კრებაზე 100-დე დელეგატი მოვიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.


# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **საზ** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **მ. ფომინა-თხიშალისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქნ. ლ. ქალანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6**ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# განცხადებანი

# ექიმ ნავასარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

# ექიმი

**შ. ა. მიქელაძე.**

იღებს **შინაგან და ბავშვთა ხნეულებებზე** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ... კახეთის ქ. № 6.

# თელავში

კახეთის რკინისგზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში.

1216

# ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**



მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.

მექანიკური ნაწარმოები.

170

**სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუღალტრო კურსები**

**საზაფხულო მეცადინეობით**

# ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.

პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).

მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე).

280

# მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო და ჯანმრთელობისათვის მარგებელი სამყრი გემოსი



სასმელი წყალი და სყურნელებისა

# ხილეულის, სამკურნალო და მინერალური

# წყალი



მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით

**გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**

## „М. ЛАГИДЗЕ“.

**ქარხნები:** **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;**
**ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.**

1214

# კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, იყიდება სააგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი სანახავი ივრის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „**ქვეყნის**“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.**

198

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი ახლად დასტამბული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ვეფხის-ტყაოსანი ინგლისურად ნათ. ვორდროპის შიერ ფ. | 6—50 კ. |
| გრიშაშვილი ბროლის ღიმილი | 10 „ |
| გაბაშვილი ე. მაგდანას ლურჯა | 5 „ |
| დავით ეპისკოპოსის სიტყვანი I | 10 „ |
| „ „ იგივე II | 15 „ |
| ერისთავი დ. ნაწ. დაუს. რომანისა | 20 „ |
| ვართაგავა ივ. ევდოშვ. პოეზია | 15 „ |
| თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა წულაძის თარგმ. | 5 „ |
| ლომაური ნ. ალი . . . . | 10 „ |
| „ „ ქაჯანა . . . | 5 „ |
| მღვიმელი. ცვარი . . . . | 20 „ |
| ნინოშვილი ე. ორი პუბ. წერილი | 5 „ |
| „ „ არშიყნი . . . | 5 „ |
| „ „ განკარგულება . | 5 „ |
| „ „ მოსე მწერალი . | 10 „ |
| ნინოშვილის ბიოგრაფია, დასაფლავება და კრიტიკული გარჩევა ი. გომართლისა . . | 15 „ |
| Нин-швили Игнатій . . . . | 5 „ |
| ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე | 10 „ |
| რამიშვილი ტრ. ცხოვრების ნაწყვეტი დრამა 1 მოქმ. . . | 15 „ |
| ბრიე. დასჯილნი პიეს. სამ მოქ. | 40 „ |
| ყიფშიძე ალ. კ ნონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა, ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიებში . . . . . . . | 30 „ |
| Временная инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе закона 20 декабря 1912 гола | 30 „ |
| ჭყონია ილიას ნაწერები . . | 1 მან. |

ადრესი: Тифлисъ книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

1217

# „ოქროს ვერძი“

მისამართი: Кутаисъ, Казаковкій пер., Д. ЯШВИЛИ.

ყოველ-კვირეული ჟურნალი

**„ოქროს ვერძი“ გამოვა 17 მაისიდან.**

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას კრიტიკას დ ხელოვნების ყველა დარგებს თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები.

**მიიღება ხელის მოწერა შემდეგ ფასებში:**

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ | 1 თ, | საზღვარ-გარედ ერ-თი-ორად. | ცალკე |
|---|---|---|---|---|---|
| 5 მ | 3 მ. | 1 75 | 50 კ | | № 10 კ. |

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

1203

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

# ძმ. ...

# ძმველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი

# იქხანი,

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

**ხიზილალა** ქვიშა

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ... პა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და

**კონსერვები.**